პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია _Applied Social Psychology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის დოქტორი PHD in Psychology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სადოქტორო პროგრამაშის 40 ECTS სასწავლო კომპონენტია, რომელთაგან 30 ECTS სავალდებულოადა 10 ECTS არჩევითი. სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტერი).
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ანასტასია ქიტიაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. ნანა სუმბაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო - ინფორმაცია განთავსებულია ფაკულტეტის ვებგვერდზე - https://www.tsu.ge/ge/faculties/psychology/0_tcykrkizcb75rkx/phd_programs/gamok_soc_ps_phd// პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ფორმულრებულია მოქმედი კანონმდებლობისა და თსუ რეგულაციების შესაბამისად. მიღება ხდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე 1. პროგრამაზე სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიის, სოციალური მეცნიერებების, განათლების მეცნიერებების, ბიზნეს ადმინსიტრირებისა და სამართლის, ჰუმანიტარული მეცნირებების მაგისტრის ხარისხი. სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართი ან ცნობა; ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი)" 2. პროგრამაზე სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიის ან სოციალურ მეცნიერებების მაგისტრის ხარისხი. სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართი ან ცნობა; ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი); 3. უცხოური ენის ცოდნის დადასტურება საუნივერსიტეტო მინიმალური სტანდარტის შესაბამისი N2 დანართით ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - Certus; 4. პოტენციური ხელმძღვანელის თანხმობა; 5. სამოტივაციო წერილი, სადაც აღწერილი უნდა იყოს კვლევითი ინტერესი, სადოქტორო თემის მონახაზი და მეთოდოლოგია - მაქსიმალური ქულა 50 6. გასაუბრება დარგობრივ კომისასთან - (მაქსიმალური ქულა 50)

	გასაუბრება შეფასდება 3 კრიტერიუმით: საკვლევი თემის შესაბამისობა პროგრამასთან (20 ქულა), მოტივაცია (20 ქულა), კვლევითი პროექტის პრეზენტაცია (10 ქულა). საბოლოო შეფასება მოხდება კომპონენტის დაჯამებით. წინაპირობები მოცემულია ვებ-გვერზე: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/1.%20Applied%20SocPsych.pdf
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგების მომზადება, რომლებიც შეძლებენ: • ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ორიგინალური სამეცნიერო კვლევების დაგეგმვასა და ჩატარებას, მიღებული შედეგების გავრცელებას და დანერგვას როგორც საგანმანათლებლო სფეროში, ასევე შრომის ბაზარზე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. • სხვადასხვა სფეროებში სოციალური ინტერვენციების დაგეგმვას, ჩატერებასა და შეფასებას საზოგადოების კონკრეტული სეგმენტის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით[1]; • კომპეტენტური კადრების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილი იქნება სწავლების თანამედროვე მეთოდებით; • საკუთარი და სხვათა უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას და განხორციელებას თანამედროვე ტენდენციების გათვალსიწინებით როგორც განათლების, ასევე დასაქმების სფეროში. გამოყენებითი სციალური ფსიქოლოგიის მიზანი შეესაბამება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას (https://www.tsu.ge/ge/about/mission_statement/), რომელიც ორიენტირებულია ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება; ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა; თავისუფალი სამყაროს ღირსეულ წევრობა.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	1. კრიტიკულად აფასებს გამოყენებითი და სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში კლასიკურ და თანამედროვე თეორიებსა და მოდელებს; 2. ცოდნის ინტერპრეტაციას ახდენს სისტემური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე; აცნობიერებს ამ ცოდნის განზოგადების პრინციპებს სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში
უნარები	1. ნერგავს სოციალური ფსიქოლოგიის სფეროს ახალ მიღწევებს კვლევასა და პრაქტიკაში 2. დამოუკიდებლად გეგმავს, ნერგავს და ატარებს ახალ და კომპლექსურ სოციალურ ინტერვენციებს ადამიანთა კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით მათი ეთნიკური მიკუთვნებულობის, ასაკის, სქესის, ორიენტაციისა და

[1]აქ შედის: სოციალური პრობლემების იდენტიფიკაცია შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, სოციალური პრობლემების ანალიზი სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან, მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ეფექტური ინტერვენციების დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი დაშეფასება.

	შეხედულებების მიუხედავად; 3. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით წარმართავს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს კომპეტენტური გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგების მომზადებას
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	4. დამოუკიდებლად გეგმას, ატარებს და წარადგენს სამეცნერო კვლევებს გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; 5. გეგემავს და ახორციელებს საკუთარ და სხვათა პროფესიულ განვითარებას.
სწავლა/სწავლების მეთოდები	სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებია: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning) და სხვა. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.
შეფასების წესი	(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. *კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.* საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება

საერთაშორისოსშეფასების სტანდარტის შესაბამისადოს	შეფასება
Summa cum laude	ფრიადი (რიადიcum la ნაშრომიum
Magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგიcum laude წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატებავI
Cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
Bene	საშუალოებამელიც ასებისთჯ წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებსლი
Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
Sub omnicanone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

	სადოქტორო დისერტაციი დაცვამდე დოქტორანტი ამზადებს 2 სამეცნიერო-კვლევით პროექტს, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირ განხილვა/პრეზენტაციას. მასში მონაწილეობს პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი; **პროექტი 1:** საკვლევი პრობლემის დასმა, მისი ასახვა სამეცნიერო ლიტერატურაში; სადისერტაციო შრომის მეთოდოლოგია და ზოგადი სტრუქტურა; **პროექტი 2:** კვლევის ანალიზი, შედეგები და ინტერპრეტაცია; დოქტორანტმა დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში უნდა გამოაქვეყნოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ორი სტატია: ა) Scopus-ში ან Web of Science-ში ინდექსირებულ რომელიმე ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში - conference proceedings) - აუცილებელია მინიმუმ 1 მაინც; ბ) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.
დასაქმების სფეროები	• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აკადემიურ პოზიცია; • განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურები - მკვლევარი, კომსულატნტი, სოციალური ფსიქოლოგი; • ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციები - მკვლევარი, კომსულატნტი, სოციალური ფსიქოლოგი; • არასამთავრობო ორგანიზაციები - მკვლევარი, კომსულატნტი,

	სოციალური ფსიქოლოგი.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	2250 ლარი
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	<u>1. ადამიანური რესურსები</u> აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფის მხრივ პროგრამა მდგრადია. პროგრამას ემსახურება 6 აკადემიური პერსონალი და 1 მოწვეული პერსონალი, 1 სპეციალიტი სასწავლო პროცესებიდ, ხარისხის უზრუნველყოფისა და სამეცნიერო განყოფილების წარმომადგენლები (4 წევრი). პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი: 1. ნანა სუმბაძე, სრული პროფესორი 2. ანასტასია ქიტიაშვილი, ასოცირებულიპროფესორი 3. თამარ აბაშიძე, ასოცირებულიპროფესორი 4. თამარ მახარაძე, ასოცირებულიპროფესორი 5. ირინე ჟვანია, ასოცირებულიპროფესორი 6. ეკატერინე ფირცხალავა, ასოცირებულიპროფესორი 7. ვანო კეჭაყმაძე, მოწვეულილექტორი <u>2. მატერიალური რესურსები</u> პროგრამა ხორციელდება თსუ მესამე სასწავლო კორპუსში, საერთო ფართი - 3091.48 კვ.მ სასწავლო ფართის საერთო მოცულობა - 1213,23კვ/მ; აუდიტორიების საერთო რაოდენობა -24 ერთეული. კომპიუტერული რესურსცენტრი - ოთახი 206- 20 ერთეული კომპიუტერი სტუდენტებისთვის, ლაბორატორია 1 – 20 ერთეული კომპიუტერი; ლაბორატორია 2 - 20 ერთეული კომპიუტერი; აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა - 814. • თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა; • სასწავლო პროგრამა იყენებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკას, რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალას (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით; • აუდიტორიები აღჭურვილია ტექნიკით: თანამედროვე პროექტორი, პროექტორის ეკრანი, გახმოვანების აპარატურა; განახლებულია ინფრაქტრუქტურა; • გამოყენებითი სოციალური ფსიოლოგიის ინსტუტუტს გამოყოფილი აქვს სამუშაო აუდიტორია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მუშაობა. მათ წვდომა აქვთ კომპიუტერებზე, პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომელიც საჭიროა პროგრამის მომსახურებისათვის;

	• ასევე კორპუსში განთავსებულია სამზარეულო პერსინალისათვის. 2017 წლის 8 დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, და შესაბამისად პროგრამის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე - "Web of Science (WoS) 10 ". "Web of Science" პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია თსუ-ს ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან www.webofscience.com "Web of Science" პლატფორმის გარდა წვდომა ჩართულია Journal Citation Report-ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა. **3. ფინანსური რესურსები** პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია თანხები ეკონომიკური შემოსავლების არაუმეტეს 2%-ის მოცულობით და სემესტრულად გაიცემა საუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც გულისხმობს სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას აკადემიური შედეგების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ფაკულტეტზე ხორციელდება დოქტორანტურის სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი თანხების ფარგლებში. დოქტორანტები ჩართულები არიან რუსთაველის ფონდის დაფინანსებაში (ახალგაზრდა მკვლევრების პროექტის ფარგლებში).
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	**სადოქტორო პროგრამის ანალოგი:** გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამები ისწავლება შემდეგ უნივერსიტეტებში: კოლორადოს უნივერსიტეტი (https://psychology.columbian.gwu.edu/phd-applied-social-psychology), ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტი (https://www.luc.edu/psychology/graduate/appliedsocialpsychologyprogram/), კლემონტის უნივერსიტეტი (https://www.cgu.edu/academics/program/phd-applied-social-psychology/) და სხვა. **სადოქტორო პროგრამის დახასიათება:** **პროგრამის აქტუალობა:** სადოქტორო პროგრამის შემუშავებას წინ უსწრებდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შექმნა 2007 წელს აკადემიური სტიპენდიის პროგრამის (Academic Fellowship Program) დახმარებით,

	რომელმაც საფუძველი მოამზადა წინამდებარე პროგრამისათვის. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა პირველად 2011 წელს მომზადდა, ხოლო 2019 წელს გადამუშავდა დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია საქართველოსთვის, სადაც არსებული სოციო-ეკონომიკური პრობლემების გარდა იზრდება სოციალური პრობლემების მასშტაბი. გამოყენებით სოციალურ ფსიქოლოგიას წვლილის შეტანა შეუძლია ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა განათლება და დასაქმება, ქვეყნისა და ორგანიზაციის ეფექტური მმართველობა, დემოკრატიის მშენებლობა, ჯანდაცვა, მოწყვლადი ჯგუფების სოციალური ინტეგრაცია და სხვა. ანალიზი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა დონეზე, ინდივიდუალურიდან დაწყებული საზოგადოებით დამთავრებული, ჯგუფისა და ორგანიზაციის ჩათვლით. ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია შესაბამისი ადამიანური რესურსის (კაპიტალის) არსებობა,პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სოციალური პრობლემების ანალიზს, შესაბამისი სოციალური ინტერვენციების დაგეგმვასა და დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას. ეს პროცესი უნდა დაემყაროს კვლევას, მტკიცებულებების შეგროვებასა დაანალიზს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში მეცნიერ-მკვლევარებისა და კონსულტანტების მომზადება, რომელთაც შესაბამისი ცოდნა და სოციალური პრობლემების ანალიზის კომპეტენცია ექნებათ. <u>მსხვილი საკვლევი თემატიკა (ნიმუშები)</u> 1. განწყობასა და სოციალურ ქცევას შორის კავშირი 2. განწყობების შეცვლა თანამედროვე თეორიებისა და მოდელების საფუძველზე 3. სიღარიბეში მცხოვრები ბავშვებისა და ზრდასრულების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა, სოციალური ინტერენციების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება 4. მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სტიგმის, სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციის საკვლევი სკალების ადაპტირება და შექმნა 5. მოწყვლადი ჯგუფების თვითსტიგმატოზების, სელფისა და სოციალური იდენტობის კვლევა 6. აგრესიისა და ძალადიბის შემცირების სოციალურ-ფსიქოლოგიური ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება 7. სოციალური ურთიერთობების როლი სოციალური ქცევისა და დამოკიდებულებების ფორმირებაში 8. განათლების სფეროში სოციალურ-ფსიქოლოგიური ინტერვენციების განხორციელება, ეფექტურიბის შეფასება

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი 2

სასწავლო გეგმა[1]

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია _Applied Social Psychology
სწავლების საფეხური: დოქტორანტურა
კრედიტების რაოდენობა: 40 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: ანასტასია ქიტიაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
ნანა სუმბაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: - დადგენილება #57/2020; 22.06.2020; შევიდა ცვლილება: დადგენილება 69/2021; 29 ივლისი 2021 წელი (დანართი 248)

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): - 2020-2021

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო /არჩევითი												
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომის	გაზაფხულის	
				ლექცია	სემინარი/ სამუშაო ჯგუფი	პრაქტიკუმი /						

[1]

1		პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო კურსი)	10	15	30		205	**250**	-		**X**	სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი
2		დარგობრივი სემინარი (სავალდებულო კურსი)	10	15			235	**250**	**კვლევის მეთოდოლოგია**		**X**	სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი
3		კვლევის მეთოდოლოგია (სავალდებულო კურსი)	10	13	32		205	**250**		**X**		ნ.სუმბაძე
4		პროგრამის/პროექტის შეფასება (არჩევითი კურსი)	5	9	21		95	**125**		**X**		ა. ქიტიაშვილი
5		რაოდენობრივი კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება (არჩევითი კურსი)	5	14	16		95	**125**				ვ. კეჭაყმაძე

პროგრამისხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტისსასწავლოპროცესისმართვისსამსახურისუფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტისდეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტისხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსისხელმოწერა _____

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარიღი———————————————————————————————— ფაკულტეტისბეჭედი